

BAG

ინდუქსია

დასაქმების
ბარომეტრი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich




Research

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ¹.

2022 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 28.1 ეულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2021 წლის III კვარტალთან შედარებით (16.4 ეულით), ასევე, წინა - 2022 წლის II კვარტალთან შედარებით (0.4 ეულით).



გრაფიკი 1: BAG დასაქმების ბარომეტრი





2022 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუარესდა მრეწველობისა (20 ეულით შემცირდა) და ვაჭრობის (7.5 ეულით შემცირდა) სექტორებში, ხოლო მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში 22.7 ეულითა და 6 ეულით გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 2).

2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.


¹ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების – „მზარდი“ – სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ცხრილი 1: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით

| | IV კვ. 2019 | I კვ. 2020 | II კვ. 2020 | III კვ. 2020 | IV კვ. 2020 | I კვ. 2021 | II კვ. 2021 | III კვ. 2021 | IV კვ. 2021 | I კვ. 2022 | II კვ. 2022 | III კვ. 2022 |
|-------------|-------------|------------|-------------|--------------|-------------|------------|-------------|--------------|-------------|------------|-------------|--------------|
| ვაჭრობა | 33.3 | -45.0 | 5.6 | 12.5 | -23.5 | 2.8 | 18.2 | 21.6 | 25.0 | 32.4 | 34.3 | 26.8 |
| მომსახურება | 14.6 | -41.7 | 0.0 | -5.0 | -8.0 | 17.6 | 34.8 | -2.3 | 11.1 | 15.6 | 19.6 | 25.6 |
| მრეწველობა | 11.1 | -25.0 | 0.0 | 16.7 | 20.0 | 17.6 | 33.3 | 21.4 | 21.4 | 29.4 | 40.0 | 20.0 |
| მშენებლობა | 50.0 | -80.0 | -28.6 | 14.3 | -33.3 | 30.8 | 12.5 | 27.3 | 50.0 | 37.5 | 27.3 | 50.0 |
| BAG | 26.1 | -46.7 | -2.8 | 6.2 | -13.7 | 14.7 | 27.4 | 11.7 | 20.5 | 24.9 | 27.7 | 28.1 |



გრაფიკი 2: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით



კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge